თედო ჟორდანიას კუბოსთან

პატარა ქართველ ერს ამ ბოლო ხანს თითქოს ბედმა უმუხთლა: ერთი მეორეზე მას ხელიდან ეცლება საუკეთესო შვილები; აი, დღესაც მიწას ვაბარებთ ყველასაგან ცნობილ მუშაკს, ჩვენი საისტორიო მწერლობის მესვეურს, თედო ჟორდანიას. რა აზრისაც უნდა იყოს საზოგადოების ერთი ნაწილი მის შესახებ, ეს კი ცხადია, რომ ჩვენთვის თედოს დაკარგვაც დიდი დანაკლისია. ამ თავად მე აზრად არა მაქვს ყოველ მხრივ შევეხო მის მოღვაწეობას, ჩემი სურვილია ვაუწყო საზოგადოებას მხოლოდ ის, თუ რა ამაგი მიუძღვის მას ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

ოთხმოციან წლების სუსხიანი ზამთარი ჩვენში მეტად საგრძნობელი შეიქნა: აქ დაეცა დაუწყებს ყოველგვარ ეროვნულ იდეალსა და მისწრაფებას. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში დაისვა საკითხი სხვათა შორის, პირველდაწყებითი საეკლესიო-სამრევლო სკოლების ყოფნა-არყოფნისა. მაშინდელმა ოლქის მზრუნველმა, კ. პ. იანოვსკიმ, მკაცრი იერიში მიიტანა ამ სკოლებზე, რადგანაც აქ ცოტათი მაინც შეუტევდა ლამპარი ეროვნული სულისკვეთებისა. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარბიელზე თედო ჟორდანია, რომელმაც არამც თუ დაიცვა განსაცდელისაგან აღნიშნული სკოლები, დიდის მიხერხებით და მეცადინეობით მან გაატარებინა, აწ უკვე დამარხული, 1886 წლის სასკოლო პროგრამა, რომელმაც ამ სკოლებში ქართული ენა გაამატონა. ასეთივე ღვაწლი მიუძღვის მას სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელთა წინაშეც; აქაც მისი მეოხებით და თავგამოდებით ფეხი გაიდგა ქართულმა ენამ, თუმცა ასეთი თავგამოდება მას ძვირად დაუჯდა: მან დაჰკარგა სასწავლებლის ზედამხედველობა („სმოტრიტელ") და დამცირებით გადმოყვანილ იქმნა სემინარიაში უბრალო მასწავლებლად. სემინარიაში, სადაც ჩვენი ეკლესიის მესვეურნი იზრდებიან, ამ დროს ქართული ენა სავალდებულო საგნად როდი ითვლებოდა: თუ ვინმე შეუდგოდა ქართულ გაკვეთილებზე, ეს პირადი სურვილის საქმე იყო, თუ კიდევ არ შევიდოდა, ამისთვის მადლობის მეტს არას მიიღებდა. თედოს მეცადინეობით ქართული ენა აქ ჯერ სავალდებულო საგნად გახადეს, მერე გაკვეთილების რიცხვის მხრივ გაადიდეს და ბოლოს შტატის კათედრად გარდაქმნეს. ამნაირად, ფორმალურად ქართულ ენას მან უფლება მოუპოვა, ხოლო შინაარსით, პროგრამის მხრივ, ის იმან გამოიყვანა იმ სტადიიდან, როდესაც ქართული ენის გაკვეთილები ხუცური ანბანის სწავლით განისაზღვრებოდა. მან პირველად ჩაუყარა სემინარიაში საფუძველი ისტორიულ გრამმატიკის შესწავლას, მან პირველმა შეაგნებინა თავის მსმენელებს სიდიადე და სიმდიდრე ქართული ხელოვნური მწერლობისა და მასში განსახიერებულ იდეალებისა; დასასრულ, მან პირველმა დაიწყო სემინარიაში კითხვა ქართული საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის სისტემატიური კურსებისა. მისი აღტაცებული და აღფრთოვანებული ლექციები დიდს შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენს ახალგაზრდობაზე და მშობლიური წარსულისადმი სიყვარულს უღვიძებდნენ მას გულში. ბევრი მისი ნაშეგირდალი, მისი წაქეზებით და ზეგავლენით, დღეს ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული საისტორიო მწერლობის და კვლევა-ძიების სარბიელზე. ის აკრებინებდა სემინარისტებს ქართულ ზღაპრებს, გამოცანებს, სახალხო ლექსებს და ამით უთვალსწინებდა მათ ხალხის ყოფაცხოვრებას და მისტიურ სულისკვეთებას. მან შეაგნებინა სემინარიის ახალგაზრდობას საარქეოლოგიო ნაშთთა მნიშვნელობა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან არა ერთი და ორი ძვირფასი ხელნაწერი და ნივთი მოატანია მის მიერ ნაამაგევ და ხელის საგოგმანებელ საეკლესიო მუზეუმში. მოწაფეები მასში ჰპოვებდნენ ნამდვილ გულშემატკივარ და მზრუნველ მამას; სემინარიის საბჭოში ის იყო ერთად-ერთი მედგარი დამცველი მათი, ყველასაგან გათელილ, ინტერესებისა. ყველა ამისთვის ის იძულებული გახადეს სემინარიის დირექტორებმა და დააყენეს იმ მოლიპულ გზაზე, რომელმაც მის უმწიკვლო სახელს ბოლო ხანს საზოგადოების ერთი ნაწილის თვალში, დაუმსახურებელი ჩრდილი მიაყენა. ის მოაშორეს სემინარიას, მაგრამ სული მისი მუდამ ცოცხალი იყო სემინარიაში, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ერთი წლის შემდეგ, საიუბილეო დღესასწაულებზე, თედო, როგორც საუკეთესო შვილი, დაუმშვენებდა მას ასი წლის ჭაღარას. მოკვდა თედო, მაგრამ სემინარიის ახალგაზრდობაში მუდამ ცოცხალი იქნება მისი სახელი და ის იდეალები, რომელსაც ის მუდამ ეტრფოდა და ემსახურებოდა სემინარიის კედლებში.

ნამოწაფარი.